



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

25 ივნისი 2026



N 21/9179

შპს „ნახიდური ჰესი“

მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 39 ბ, ბიზეს ცენტრი ოფისი 11

ელ. ფოსტა: vova949@yahoo.com

envirotrustgroup@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2026 წლის 13 მაისის N 7040 განცხადება და დაგეგმილი საქმიანობის (ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდინარე ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და გაცნობებთ, რომ საქმიანობასთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის ტრასა მთლიანად მარცხენა ნაპირზეა გადატანილი, თუმცა გაურკვეველია, როგორ შეიცვალა მისი სიგრძე და მოხვევის კუთხეების რაოდენობა, ასევე მითითებული არ არის, რომ აღარ ხორციელდება მდინარის გადაკვეთა აკვედუკებით, შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
2. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი სათავე ნაგებობის დამცავი კედლების გრძივი ჭრილები და გაურკვეველია მათი სიგრძე, ასევე წარმოდგენილ სათავე ნაგებობის გეგმებზე არ არის მოცემული ჭრილების ადგილმდებარეობის და დამცავი კედლების განივი პროფილის შესახებ ინფორმაცია, ასევე ნახაზებზე წარმოდგენილია „საცემენტაციო ფარდა“ („ხიმინჯები“), მაგრამ განმარტებით ბარათში არ არის მოცემული აღწერილობა (მახასიათებლები). აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
3. დანართის სახით წარმოდგენილი გვ. 30 და გვ. 31-ზე მოცემული წყალმიმღების ნახაზები არ შეესაბამება განმარტებით ბარათში და ზემოაღნიშნული დოკუმენტის სხვა გვერდებზე წარმოდგენილ ნახაზებს (შესაბრუნებელია სარკისებურად);
4. წარმოდგენილ ნახაზებზე ნაჩვენებია სადაწნეო მილსადენის დამცველის „ჩამქრობი ჭა“, თუმცა ტექსტში არ არის მოცემული მისი გაბარიტების და კალაპოტთან შეუღლების კვანძის შესახებ ინფორმაცია, რაც დასაზუსტებელია;
5. შპს „ნახიდური ჰესი“-ს შეტბორვის არეალის ნაწილი ზედდება შპს „საქენერგოს“ მდინარე ხრამზე 10.4 მგვტ სიმძლავრის „ხრამი 7 ჰესის“ (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

531/ს 06.10.2023) სანაყაროსთან, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამის განმარტებას;

6. დაზუსტებას საჭიროებს შპს „ნახიდური ჰესის“ პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასების საკითხი ხრამი ჰესების კასკადის გათვალისწინებით, მათ შორის გათვალისწინებული და განხილული უნდა იქნეს „ხრამი 7 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციის საკითხები გარემოს თითოეული კომპონენტის (ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია, ნატანის მართვა, იქთიოლოგია, მდინარის ჭალის ბიომრავალფეროვნება და სხვ.) გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული საკითხის გარდა კუმულაციური ზემოქმედების კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ხრამი 7 ჰესის ეგხ-ის მშენებლობის საკითხი;
7. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ „პროექტის ფარგლებში, აღარც წინა ეტაპზე შეთანხმებული სანაყაროები გამოიყენება“. გარდა აღნიშნულისა, ასევე ნახსენებია რომ „საპროექტო ცვლილებების შესაბამისად, შემცირებულია გამომუშავებული გრუნტის რაოდენობა, რომელიც სრულად გამოყენებული იქნება სამშენებლო სამუშაოების დროს, შესაბამისად პროექტი სანაყაროების მოწყობას აღარ გულისხმობს. თუმცა, ზემოაღნიშნულის საპირწონედ დოკუმენტაციაში ასევე ასახულია ინფორმაცია სანაყაროს/სანაყაროების გამოყენების და გამოუსადეგარი გრუნტის სანაყაროებზე განთავსების შესახებ, აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საკითხები და სანაყაროს მოწყობის საკითხი საჭიროებს დასაბუთებას და შესაბამის განმარტებას;
8. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია შეტბორვის კონტურის გაზრდილი ფართობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის/ების მდებარეობის შესახებ, მანძილების მითითებით, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
9. გზშ-ს ანგარიშში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, პროექტისთვის მომზადებული, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, 461 ნიშნულზე ჰესის ოპერირებისთვის, სარკის ზედაპირის ფართობი გათვალისწინებული იყო 476 949.7 მ2. როგორც სათავე ნაგებობის შემთხვევაში, მას შემდეგ რაც კომპანიამ დაიწყო საკადასტრო აზომვითი ნახაზების და უშუალოდ 461 ნიშნულის ფართობების დამუშავება, ადგილზე ჩატარებული გეოდეზიური სამუშაოების შედეგად ჰესის 461 ნიშნულზე, 476 949,7 მ2 ნაცვლად ზედაპირის ფართობი და შესაბამისად აღნიშნულ ნიშნულზე წყლის მიერ დასაკავებელი მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი იქნება - 498 271.2 (ფართობი გაიზარდა 2.1 ჰა-ით), შეტბორვის გაზრდილი ფართობი ხვდება, როგორც სატყეო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რასთან დაკავშირებითაც დაწყებულია მიწის ნაკვეთების გადმოცემის პროცედურა. ვინაიდან ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად იზრდება შეტბორვის ფართობი და გათვალისწინებულია დამატებითი მიწის ნაკვეთების გამოყენება, რაც ზრდის ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის ჭალის ტყის ჰაბიტატებსა და მათთან დაკავშირებულ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ზემოქმედების, მათ შორის დაკარგული (განადგურებული) და/ან დეგრადირებული ჰაბიტატების აღდგენის საკომპენსაციო ღონისძიებები, შესაბამისი გეგმის სახით. ვინაიდან ამ ეტაპზე გათვალისწინებული საქმიანობით იზრდება ზემოქმედების მნიშვნელობა, ხარისხი, ფართობი და შესაბამისად, მცირდება ჰაბიტატების საკონსერვაციო ღირებულება, აღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევისთვის, არამედ მთლიანი პროექტის განხორციელებით მომხდარი ზემოქმედების (თავდაპირველი პროექტითა და შემდგომ განხორციელებული ცვლილებების პროექტებით გამოწვეული, ჰაბიტატების განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) საკომპენსაციო აღდგენის ქმედებებს.

10. ამასთან, გზშ-ს ანგარიშის მიხედვით მნიშვნელოვანია, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, მოხდეს დაზიანებული ჰაბიტატების აღდგენა და მცენარეთა საფარის რეკულტივაცია. მცენარეთა რეკულტივაციის შედეგად არ უნდა მოხდეს არაადგილობრივი სახეობის მცენარეთა შემოტანა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც არაადგილობრივი სახეობის მცენარეთა გავრცელება ბუნებაში, ასევე სხვადასხვა მავნებლის გავრცელება. რეკულტივაციის შემთხვევაში რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას, ადგილობრივი, რეგიონისთვის დამახასიათებელი მცენარეები. ჰაბიტატების აღდგენის პროცესში რეკომენდირებულია აიკრძალოს პირუტყვის გადაადგილება და ძოვება, რადგან ძოვება ხელს შეუშლის მცენარეთა ბუნებრივ აღდგენას. ხე-მცენარეების დარგვა და მათი მოვლა პატრონობა და სხვ.) მნიშვნელოვნად შეამცირებს მცენარეულ საფარზე დამატებითი სახის, არაპირდაპირი ზემოქმედების რისკებს და ამასთანავე ხელს შეუწყობს ასეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი კომპონენტის ნაწილობრივ აღდგენას/მშენებლობის ეტაპზე მიყენებული ზიანის კომპენსირებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჰაბიტატების საკომპენსაციო აღდგენის გეგმასთან ერთად (ან ამ გეგმაში) წარმოდგენილი იყოს დაზიანებული ჰაბიტატების აღდგენის/რეკულტივაციის ქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე, რომ მონიტორინგის ფარგლებში შეფასდეს განხორციელებული აღდგენითი ღონისძიებების ეფექტიანობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებითი აღდგენითი და/ან შემარბილებელი ღონისძიებები, რაც უნდა აისახოს მონიტორინგის გეგმაში
11. გზშ-ს ანგარიშში მითითებული ინფორმაციის მიხედვით რეკულტირებულ ტერიტორიაზე, ზოგიერთ მონაკვეთში დაწყებული იყო მცენარეული საფარის ბუნებრივი აღდგენის პროცესი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღმოცენებულ მცენარეთა შორის მრავლად გვხვდებოდა არაადგილობრივი ფლორის წარმომადგენლები. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდეს ინვაზიური და არა ადგილობრივი სახეობების გავრცელების კონტროლზე, საჭიროების შემთხვევაში შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი მართვის ქმედებები, რაც უნდა აისახოს მონიტორინგის გეგმაში. აგრეთვე, საჭიროა საკვლევ არეალში დაფიქსირებული ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების და ამფიბიების საკონსერვაციო სტატუსები შესწორდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ მოცემული სახეობების, ასევე მათი მდგომარეობისა და დაცულობის სტატუსების (ე.წ. საკონსერვაციო სტატუსი) შესაბამისად;
12. პროექტის განხორციელებით გამოწვეული წყლის ნაკადის შემცირებისა და დარჩენილი წლის ხარჯის საკმარისობის საკითხი, ბიომრავალფეროვნების კომპონენტების არსებობა-შენარჩუნების თვალსაზრისით, განხილულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის მიერ, ხოლო ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი განისაზღვროს მონიტორინგის გეგმაში, გეგმაში ასევე უნდა აისახოს მონიტორინგის შედეგებისას მიღებული ანგარიშების სააგენტოში წარმოდგენის საკითხი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად დაფიქსირდა წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, საჭიროა ჰესის ექსპლუატაცია განხორციელდეს სააგენტოს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად.
13. გზშ-ის ანგარიშში მითითებული ინფორმაციის მიხედვით ჩატარდება იქთიოლოგიური კვლევა და წელიწადში ორჯერ ანგარიში წარედგინება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. საჭიროების შემთხვევაში გატარდება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნულ ჩანაწერში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეიცვალოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოთი;

14. მონიტორინგის წარმოებასთან მიმართებით, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს განახლებული მონიტორინგის გეგმის ბიომრავალფეროვნების ნაწილი;
15. შპს საქართველოს მელიორაციის ცნობით (წერილი N გ-2816), შპს „ნახიდური ჰესი“-ს და შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს შორის გაფორმდა მემორანდუმი-მდინარე ხრამზე განთავსებული „ნახიდური ჰესისთვის“ მოწყობილი წყალსაცავიდან გამომავალი წყლის რეგულირებისა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წყლით უზრუნველყოფის შესახებ. ასევე მემორანდუმის მუხლი 2-ის, მე7-ე პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, მასზედ რომ ამავე მუხლში გაწერილი, წყალსაცავის ექსპლუატაციის პირობები ასახული უნდა იყოს გზშ-ს დოკუმენტში, რაც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე აღნიშნული პირობის გათვალისწინებამდე კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას წარმოდგენილ გზშ-ის დოკუმენტს მისცეს დადებითი შემდგომი მსვლელობა. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
16. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით (წერილი № 17/2307), გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების ქვეთავში აღნიშნულია, რომ შეტბორვის ტერიტორიაზე ექცევა თავგურგლას გამოქვაბულ კომპლექსთან მდებარე არქეოლოგიური ობიექტის ნაწილი და გაცემულია რეკომენდაცია მისი მეორე ეტაპით განსაზღვრული არქეოლოგიური სამუშაოების საშუალებით შესწავლის შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ვერ იმსჯელებს წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი სამუშაოების კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართების მიზანშეწონილობის შესახებ, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი დატბორვის ზონაში დაფიქსირებული არქეოლოგიური ობიექტის კვლევის ამსახველი ანგარიში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია წარმოდგენილ იქნეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია;
17. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით (GOV N 11/3621), (სააგრეგატო შენობის მიმდებარე ტერიტორია, მილსადენის ბუფერი, გზა, სააგრეგატე შენობა, ქვის ნაპირსამაგრი, გამყვანი არხი, მილსადენი, სათავე ნაგებობა, 11,12,13) მთლიანი 597 191 კვ.მ ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 235 854 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოს კვარტალი N N45; 46; 47 და ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ფახრალის სატყეოს კვარტალი N1-სა და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს. ასევე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 235 854 კვ.მ მიწის ნაკვეთი ზედღებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 91 ერთეულ მიწის ნაკვეთზე. დანართად მითითებულ ცხრილში წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებიდან, ნაწილზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2023 წლის 13 ოქტომბრის N 2547/ს ბრძანებით (რომელშიც შევიდა ცვლილება 2024 წლის 17 დეკემბრის N 3558/ს და 2025 წლის 1 დეკემბრის N 3597/ს ბრძანებებით) და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2024 წლის 24 ივნისის 1412/ს ბრძანებით, 2026 წლის 1 აგვისტომდე ვადით, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება მიენიჭა შპს „ნახიდური ჰესი“-ს, ფართობების მეორე ნაწილზე, შპს „ნახიდური ჰესი“ ამ ეტაპზე არ აქვს საკითხი დასმული ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელიც რეგულირდება

„ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV). აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მოსაზრება;

18. წარმოდგენილი სრული იქთიოლოგიური საველე კვლევებისა და შესაბამისი ანალიტიკური დასკვნების, თევზჭერის ძალისხმევის ერთეული - CPUE (Catch-Per-Unit-Effort) გაანგარიშებულია მხოლოდ კრებითად ყველა სახეობაზე და არა ცალკეულად, რაც არ მოიცემა მომავალში ჰესის ნეგატიური ზეგავლენის შეფასების საშუალებას ცალკეულ სახეობებზე. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს იქთიოფაუნის მონიტორინგის გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ექსპლუატაციის ეტაპზე იქთიოფაუნის შემდგომი მონიტორინგის პერიოდი არანაკლებ 5 წლისა, ასევე ჰესის ნეგატიური ზეგავლენის საკომპენსაციო დათევზიანების ღონისძიებების საკითხი.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების მიხედვით დაზუსტებული დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თქვენი 13.05.2026 წ. განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/9179-21-2-202606251753>

